მარიამ ჩხარტიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
mariam.chkhartishvili@tsu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.72

ქართული იდენტობის წრთობა მეცხრამეტე საუკუნეში: ილიას ღვაწლი

საკვანძო სიტყვები: ილია ჭავჭავაძე, იდენტობა, ეროვნული ნარატივი.

პიროვნება და სოციალური ცვლილება. შეუძლია თუ არა პიროვნებამ გავლენა მოახდინოს მოვლენების განვითარებაზე? შეუძლია გამოიწვიოს ფუნდამენტური სოციალური ცვლილება? როგორ უნდა გავიგოთ ზოგადად პიროვნების როლი ისტორიაში?

ეს კითხვები მუდამ იპყრობდა მოაზროვნეთა (მეცნიერების – ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა, სოციოლოგთა და სხვ.), ასევე მწერლების, ჟურნალისტების და ა.შ. ყურადღებას. არსებული პასუხები განსხვავებულია. შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი პოზიცია: ა) დიდი ადამიანების განსაკუთრებული როლის შესახებ თეორიის სრულად მიმღები: მიაჩნიათ, რომ ისტორიას მართავენ გამოჩენილი პიროვნებები, რომლებიც თავიანთი მემკვიდრეობითი თვისებების და ღვთაებრივი მოწოდების გამო იმყოფებიან მოვლენების ცენტრში და მოქმედებენ როგორც ისტორიის ფაქტობრივი შემქმნელები; ბ) ზომიერი პოზიცია, რომლის მომხრეები, თუმცა არ უგულებელყოფენ პიროვნების ინდივიდუალური წვლილის მნიშვნელობას ისტორიულ განვითარებაში, მაგრამ მაინც ფიქრობენ, რომ სოციალური გარემოს თავისებურებანი ისტორიული ფიგურების ქმედებებს ზღუდავს; გ) ისტორიული პროცესების განვითარებისათვის ადამიანის როლის სრული უარყოფა. ისინი, ვინც მხარს უჭერენ ამ პოზიციას, ამტკიცებენ, რომ სოციალურ– დეტერმინისტული ძალები ქმნიან ისტორიას. ლიდერები გარემოს პროდუქტებია და ხშირად წარმოადგენენ მხოლოდ იარაღს არსებული სოციალური კანონზომიერებების განსახორციელებლად და, შესაბამისად, მათი მოტივები, შესაძლებლობები ან ქცევები არ არის მნიშვნელოვანი. სოციალური კანონზომიერებების გარდაუვალობა განსაზღვრავს ლიდერების პიროვნული თვისებების განვითარებასაც.

მაგალითად, ცნობილი შოტლანდიელი ესეისტის, ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის, ვიქტორიანული ეპოქის წამყვანი მწერლის, თომას კარლაილის (1795-1881) თანახმად, „მსოფლიოს ისტორია… იყო დიდი პიროვნებების ბიოგრაფია“ [9,1906,13]; „სწორედ ეს დიდი პიროვნებები იყვნენ ადამიანთა წინამძღოლნი, მათთვის სანიმუშონი და მაგალითის მიმცემნი, შემოქმედნი ყოველივე იმისა, რაც ოდესმე ჩვეულებრივ ადამიანებს ჩაუფიქრებიათ ან მიუღწევიათ“ [9,1906: 1].

მეორე პოზიცია თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობს გამოჩენილი გერმანელი მოაზროვნის კარლ მარქსის მსჯელობაში, რომელსაც ვხვდებით მის ნაშრომში „ლუი ბონაპარტის 18 ბრიუმერი“: „ადამიანები ქმნიან საკუთარ ისტორიას, მაგრამ არა ისე,

როგორც ეს მათ სურთ; ისინი ამას როდი აკეთებენ მათ მიერვე შერჩეულ გარემოებებში, არამედ უკვე არსებულ, წარსულიდან გადმოცემულ ვითარებაში“ [11,1926, 23].

ცნობილი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის დეტერმინისტული (ფატალისტური?) შეხედულების მიხედვით, დიდი პიროვნებების გავლენა ისტორიის მსვლელობაზე მოჩვენებითია; სინამდვილეში დიდი ადამიანები ისტორიის მონები არიან, ისინი მხოლოდ აღასრულებენ განგების გეგმას [12, 2019: 81–102].

ჩვენ, ცხადია, ამ სტატიის ფარგლებში ვერ შევძლებთ საბოლოო პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კარდინალური მნიშვნელობის კითხვებს, თუმც ერთი კონკრეტული მაგალითის განხილვის საფუძველზე შევეცდებით შემდგომში მათი კვლევისათვის საინტერესო მასალა მივაწოდოთ მკვლევართ. ეს მაგალითი კი XIX საუკუნეში ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი და ამ პროცესის გამოჩენილი მონაწილე ილია ჭავჭავაძეა.

როგორც ცნობილია, ილიას ჯერ კიდევ სიცოცხლეში მოიხსენიებდნენ როგორც ქართველი ერის მამას. დღეს კი მისი სახელი ქართული კოლექტიური მეხსიერების განუყოფელი ნაწილია. ქართველებს ბევრი სხვა ძალიან კარგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჰყავთ, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული კულტურის განვითარებაში. ისმის კითხვა: მაინც რა გააკეთა ილიამ ყველაზე აღმატებული და განსაკუთრებული, რომ მხოლოდ მას, ერთადერთს ხვდა წილად ქართველი ერის მშობლის ტიტული?

კულტურული ელიტა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესში. სოციალური ჯგუფების ინტერპრეტაციას ორგვარად უდგებიან: ესენციალისტურად და კონსტრუქციონისტულად. სპეციალურ ლიტერატურაში ორივე ამ მიდგომას სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ და მათი ვრცელი დახასიათებებიც არსებობს. ჩვენ მოკლედ ვიტყვით: ესენციალიზმი გულისხმობს ჯგუფის გააზრებას სუბსტანციურობის მქონე არსად, ანუ მის იდენტობის მარკერთა არსებობას მასში გაერთიანებული წევრების ნების და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. კონსტრუქციონიზმი, პირიქით, არ ცნობს ჩვენ–ჯგუფის სუბსტანციურობას და მიიჩნევს, რომ ჯგუფების იდენტობას ძერწავენ ამ ჯგუფთა კულტურული ელიტები. თუ როგორ აკეთებენ ამას, აქ არის განსხვავება და ამის მიხედვით განარჩევენ ზომიერ და უკი-დურეს კონსტრუქციონისტებს.

ერების შემთხვევაში ეს მიდგომები უკავშირდება ეროვნული ერთობების ისტორიულობა/ არაისტორიულობის საკითხსაც. ესენციალუსტური მიდგომით ერები არაისტორიულია, ისინი ბიოლოგიურ სახეობათა მსგავსად უძველესი დროიდან დღემდე უცვლელად არსებობენ. კონსტრუქციონისტების მიხედვით, ერები კულტურული ელიტების შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენენ. ელიტები ქმნიან შესაბამის იდენტობრივ ნარატივებს, რომელთაც ავრცელებენ მშობლიური ჩვენ–ჯგუფის წევრებს შორის მედია საშუალებების გზით. კონსტრუქციონიზმი ცნობს ერების ისტორიულობას, რამდენადაც გულისხმობს გარკვეულ მომენტში მათ წარმოშობას.

ერების ესენციალისტურ ინტერპრეტაციას დღეს ბევრი სპეციალისტი არ უჭერს მხარს. მკვლევართა მიერ ეს მიდგომა მიჩნეულია სინამდვილის არაადეკვატურად ამსახველ ნაივურ, არსებითად არამეცნიერულ, მიდგომად. ფართო საზოგადოებაში და თეორიულად მოუმზადებელ სამეცნიერო წრეებშიც გავრცელებული და გაზიარებულია ერების ესენციალისტური ინტერპრეტაცია. საქმე ისაა, რომ ეს ხედვა აიოლებს ინდივიდის მიერ კოლექტიურ–კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ჩვენ–ჯგუფთან თავის გაიგივებას, რადგან ესენციალისტური მიდგომა მოცემული კოლექტივის მუდმივ არსებობას გულისხმობს. ფართო მასებში ამგვარი ხედვის კულტივირებას ხელს უწყობენ

ნაციონალისტი ლიდერები, რომელთაც სჭირდებათ, აჩვენონ მშობლიური ჩვენ–ჯგუფების ანუ პოტენციური ერების დროში განგრძობადობა, ხანდაზმულობა და თვითიგივურობა. ეს მათ პროპაგანდისტულ რიტორიკას უწყობს ხელს, აიოლებს ეროვნული იდეის გარშემო მასების კონსოლიდებას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნაციონალიზმის იდეოლოგია კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, ერის ფენომენს ყოველთვის წარმოაჩენს ესენციალისტურად, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ერის არსების განმარტებისათვის ნაციონალიზმი რეალობის ადეკვატური ამსახველია.

ეთნოსიმბოლიზმი ერებისა და ეროვნული კონსოლიდაციის პროცესების აღმწერი ზომიერად კონსტრუქციონისტული თეორიაა. ჩვენი აზრით, ის ყველაზე მართებულია ერების ქმნადობის პროცესის გასააზრებლად. ამ მიდგომის ფუძემდებლის ე.დ.სმითის აზრით, კულტურული ელიტები ახალ დროში ქმნიან ერებს, უფრო ზუსტად ისინი ჯერ ქმნიან ეროვნულ იდეას (//ეროვნულ იდენტობრივ ნარატივს), რომლის მასებში გავრცელების შედეგად ყალიბდება საერთო იდენტობით შეკრული ეროვნული ჩვენ–ჯგუფი ანუ ერი. მაგრამ ეს ქმნადობა ხდება არა ვოლუნტარისტულად, არამედ გარკვეული წინარე ეთნიკური მოცემულობაზე დაფუძნებით ანუ არსებული ეთნიკური კულტურის ფარგლებში და ამ დისკურსში ეპოქის იმპერატივთან ერთად ასახვას პოულობს კონკრეტული კულტურის იმპერატივიც [15: 2004].

პოტენციური ერების ანუ ერად გადაქცევის გზაზე მდგომი ჩვენ–ჯგუფების კულტურული ელიტების კრეატიული საქმიანობა გამოიხატება არა მშობლიურ კულტურასთან მიმართებით მათ მიერ რაიმეს გამოგონებაში, არამედ არსებული კულტურის ზოგი ელემენტის ახლებურ გააზრებაში ანუ ელიტები ახდენენ ეთნიკური მემკვიდრეობის სელექციურ რეინტერპრეტაციას და ამ გზით ქმნიან ახალ ეროვნულ კულტურას, რომელიც იქცევა ეროვნული იდენტობის საფუძვლად.

ეთნოსიმბოლიზმი ნაციონალისტურ დისკურსს გაიაზრებს როგორც კულტურულ დისკურსს. ამ მიდგომით ეროვნული კონსოლიდაციის პროცესები თავისი არსით კულტურული მობილიზაციის პროცესებია. ამიტომაც მათ წარმართავენ კულტურული ელიტები, ამიტომაც ისინი უკავშირდება კულტურულ რენესანსებს და ამიტომაც ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ჰუმანიტარული დარგების მკვლევრები და, საზოგადოდ, ჰუმანიტარული ინტელიგენცია, რადგან სწორედ მას ხელეწიფება, შექმნას ეროვნული ოდენტობრივი ნარატივი და ჩვენ–ჯგუფში ამ ნარატივის ცირკულირების მექანიზმები.

იდენტობა ინდივიდის მიერ გარკვეული მარკერების საფუძველზე ჩვენ–ჯგუფის წევრობის ცნობიერებაა. სხვადასხვა დროს ჩვენ–ჯგუფის შიდა შეჭიდულობამ ცხადია სხვადასხვაგვარია. რადგან წინა მოდერნის ეპოქაში კოლექტიურ–კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ჩვენ–ჯგუფები სოციალურად სტრატიფიცირებულია, ჩვენ–ჯგუფის წევრების გამაერთიანებელი, მაკონსოლიდებელი იდეები წევრების ნაკლებ რაოდენობას მოიცავს. ახალ დროში კი საზოგადოებები სოციალურად უფრო ჰომოგენურია, შესაბამისად, გამაერთიანებელი იდეების ცირკულირება უფრო ინტენსიურია, ხოლო შიდა სოციალური შეჭიდულობა უფრო მეტად მყარი.

ამრიგად, ერების ჩამოყალიბება ხდება მასების მობილიზებით, რაც გარკვეული წინაპირობებს გულისხმობს. პირველ რიგში, ეს არის კულტურული ელიტების არსებობა. ელიტების თვალსაჩინო წარმომადგენლები ქმნიან ეროვნულ იდეოლოგიებს და მედიის საშუალებით პოტენციურ ერებში მათ გავრცელებას უზრუნველყოფენ.

ეროვნული კონსოლიდაციის ისტორიები ფაქტობრივ ამ ტიპის გავლენის მქონე ადამიანების ბიოგრაფიების ერთობლიობაა. ეს იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, ერები, როგორც ითქვა, მასობრივი ფენომენებია, მეორე მხრივ კი – ერების მშენებლობის პროცესები ელიტარული პროცესებია.

მკვლევრები განასხვავებენ ერების ორ ძირითად ტიპს: მათ, რომლებიც წარმოადგენენ მოდერნიზაციის უშუალო პროდუქტს და ნაციონალიზმის იდეოლოგიის საფუძველზე წარმოშობილ ერებს. თანამედროვე ერების უმეტესობა ნაციონალიზმების პროდუქტია [14, 1996,122) და მხოლოდ რამდენიმე (ლ. გრინფელდის მიხედვით, მხოლოდ ერთი - ინგლისელი ერი [6,1993, 23) შეიძლება, რომ მიჩნეულ იქნეს მოდერნიზაციის უშუალო პროდუქტად.

ცხადია, რომ ნაციათმშენებლობის პროცესი ყველგან ერთნაირი არ ყოფილა. თუ პირველ შემთხვევაში ობიექტივისტური ფაქტორები, მაგალითად ეკონომიკის განვითარების დონე არის მნიშვნელოვანი, სხვა შემთხვევაში (სუბიექტივუსტური ფაქტორები, მაგალითად კოლექტიური მეხსიერება, საზიარო ღირებულებები, სიმბოლოები) არის მთავარი.

მეორე ტიპის ერების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი გახლავთ ინტელექტუალების როლი. თუმცა, როგორც ითქვა, ჩვენ არ უნდა გვესმოდეს ეს როლი, როგორც კულტურული ელიტის ვოლუნტარისტული სოციალური ინჟინერია, არამედ როგორც მისი ძალისხმევა პოტენციური ერის წინარე ეროვნული (ვერნაკულური) კულტურის მოდიფიცირებისა ეროვნულ დონეზე. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ ე.დ.სმითის (და კიდევ ბევრი სხვა მკვლევრის) თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ეთნიკური ერთობიდან ეროვნულ ერთობაზე გადასვლა განიხილება, როგორც ცნობიერი პროცესი, რომელსაც წარმართავენ ინტელექტუალები. სწორედ ამგვარად ანუ ეროვნულობის გზაზე მდგარი ერთობათა (ანუ პოტენციური ერების) ინტელექტუალთა ძალისხმევის შედეგად ეთნიკური მემკვიდრეობის სელექციური რეინტერპრეტაციის შედეგად წარმოიშობა ნაციონალური კულტურა.

აქ უნდა ვთქვათ ერების იდეის რაობაზეც: ეს არის კონკრეტული ტიპის ნარატივები, რომლებიც შექმნილია პოტენციური ერების კულტურული ელიტების მიერ. ეს ნარატივები ვრცელდება ერთობის წევრებს შორის ყველა არსებული მედიის საშუალებით.

ასევე აუცილებელია ერის ფენომენის არსის განმარტება: ერები განიხილებიან როგორც სოციალური კონსტრუქტები, მაგრამ ამასთანავე მათ რეალურობას არავინ აყენებს ეჭვის ქვეშ. აღნიშნული ვითარება თვალსაჩინოდ არის ფორმულირებული ე.დ. სმითის მიერ: „ერები შეიძლება ჩაითვალოს როგორც ნაციონალისტური (ან სხვა) ელიტების კონსტრუქტებად ან ხედვის გამოვლენად, მაგრამ ამავე დროს, რეალურ, ისტორიულ წარმონაქმნებადაც, რომლებიც განასახიერებენ მთელ რიგ, ანალიტიკურად განცალკევებულ, ხანგრძლივი დროის პროცესებს“ [14, 1996: 108].

ერები ყველაზე დიდი სოციალური ჩვენ–ჯგუფებია თუმც, ზომა არ არის მათი ერთადერთი ნიკალური ნიშანი. ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური კავშირების ხასიათი, რომელიც უზრუნველყოფს შიდა–ჯგუფური შეჭიდულობის სიმტკიცეს. .

ერები წარმოსახვითი ერთობებია. [1] ერად ყოფნა (*Nation-ness*) გულისხმობს კავშირს დიაქრონულ ჭრილში ანუ არა მხოლოდ იმ წევრებს შორის, რომლებიც დაკვირვების

[1] ტერმინი „წარმოსახვითი ერთობები“ (“ imagened communities”) შემოღებულია ბენედიქტ ანდერსონის მიერ (ანდერსონი 1983).

მომენტში ცოცხლები არიან; არამედ ჩვენ–ჯგუფის წევრებად მოიაზრებიან გარდაცვ-ლილნიც და ჯერ კიდევ არშობილი თაობებიც.

შიდა–ჯგუფური შეჭიდულობის ერთადერთი შესაძლო ფორმა ადამიანთა ერთობებში შეიძლება იყოს კოლექტიური მეხსიერება.[1] სწორედ ამიტომ, ეროვნული იდენტობის ნარატივებში ისტორიული წარსული განსაკუთრებული ყურადღებით მუშავდება. ერებს უნდა ეძებნებოდეთ ღრმა ფესვები ისტორიაში, ერებს უნდა ახსოვდეთ საკუთარი გმირები. ხშირად სწორედ გამოჩენილი პიროვნებების ხატებანი ქმნიან „გამოსადეგ წარსულს"[2] ერების კონცეპტუალიზებისათვის. ერის ჩამოყალიბების პროცესში პოტენციური ეროვნული ერთობის კულტურული ელიტა თავისი წიაღიდან წარმოშობს განსაკუთრებით გავლენიან პიროვნებას,[3] რომელიც ქმნის ერის იდეას და ხელს უწყობს მის გავრცელებას ჩვენ–ჯგუფში და წარმართავს მოძრაობას, რომელიც შთაგონებულია ეროვნული ანუ ნაციონალისტური იდეოლოგიით.

ქართული იდენტობის წრთობა და ***Pater Patriae.*** ქართული იდენტობა ხანგრძლივი ისტორიის მქონეა. შეიძლება გამოიყოს მისი განვითარების რამდენიმე პერიოდი: ა) ქართული ჩვენ–ჯგუფის ეთნიკურ ერთობად არსებობის ეტაპი, ბ) ქართული ჩვენ–ჯგუფის წინამოდერნულ ერად არსებობის ეტაპი, გ) ქართული ჩვენ–ჯგუფის თანამედროვე ერად არსებობის ეტაპი.

თითოეულ ამ ეტაპთან ასოცირდება გამოჩენილი პიროვნებები. წინამოდერნული ეპოქისთვის ესენი არიან მეფეები, წმინდანები; ახალ დროში – განმანათლებლები, მწერლები, დისიდენტური მოძრაობის ლიდერები, პრეზიდენტები და ა.შ. ამ ადამიანებმა ბიძგი მისცეს ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესს.

ქართული ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის დაწყება ძვ.წ.XV-XIV სს. შეიძლება ვივარაუდოთ, შეგვიძლია საკმაოდ მყარი არგუმენტებით ვამტკიცოთ წინარემოდერნული ქართველი ერის არსებობა XI-XII საუკუნეებში. რაც შეეხება თანამედ-როვე ქართველ ერს, იგი წარმოიშვა უკვე არსებული ეთნოკულტურული ერთობის საფუძველზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში [16,2011; 17,2012,188-211; 18, 2013, 189-206; 21, 165-76; 22, 2024, 31–59]. სწორედ ამ დროს ქართულმა კულტურულმა ელიტამ შექმნა ეროვნული იდენტობის ნარატივი და გაავრცელა იგი ქართულ ერთობაში ბეჭდური მედიით და საგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალებით.

ბევრი ქართველი ინტელექტუალი მონაწილეობდა ქართული ეროვნული იდენტობრივი ნარატივის შექმნაში და ცდილობდა სათანადოდ წარმოეჩინა *ქართველობის* არსი. ამ ინტელექტუალთა შორის ყველაზე მეტი ღვაწლის დამდები იყო ილია ჭავჭავაძე

ილიას პუბლიცისტური წერილები, აგრეთვე მხატვრული ნაწარმოებები (ლექსები, პოემები, მოთხრობები) ხშირად იბეჭდებოდა „ივერიაში". ეს პერიოდული გამოცემა 1877-1906 წლებში გამოდიოდა. ილია ჭავჭავაძე იყო მისი დამფუძნებელი, გამომცემელი და რედაქტორი. თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში „ივერია" ქართულ საზოგადოებაში ამკვიდრებდა ეროვნულ იდეალებს. ილია შეეხო ქართული ეროვნული იდენტობრივი

---

[1] ერთი მხრივ, ნაციის მშენებლობისა და ნაციონალური ისტორიის შექმნის და, მეორე მხრივ, კოლექტიური მეხსიერების ფენომენების ურთიერთდამოკიდებულებაზე არსებობს ძალიან ბევრი გამოკვლევა, მათ შორის, (ბერგერი 2015:9-10; გუსევსკაია, პლოტნიკოვა, 2020; 1028).

[2] კონცეპტი „გამოსადეგი წარსულს" („usable past") მომდინარეობს ვან ვიკ ბრუკსის (1886–1963) სტატიიდან (ბრუკსი1918).

[3] ქარიზმატული ინფლუენსერების შესახებ მკითხველმა შეიძლება არაერთი მკვლევრის ნაშრომი იხილოს, მათ შორის (ასუადი 2020), (კაბუაკი 2016), (კუჩკაროვი, მირზიატოვი 2022).

ნარატივის ფორმირებისთვის აუცილებელ თითქმის ყველა საკითხს: ქართული ერთობის დამოკიდებულება წარსულის მიმართ, მისი სოციალური შემადგენლობა, ურთიერთ-დამოკიდებულება „სხვებთან“, კულტურული უნიკალურობისა და ეროვნული ხასიათის განცდა, საერთო ბედის განცდა და ა.შ.

XIX საუკუნეში ქართული ეროვნული იდეა წარმოადგენდა ნაციონალიზმის პოლიტიკური და კულტურული ფორმების კომბინაციას. იგი წარმოიშვა როგორც პოლიტიკური მოძრაობის ნაწილი, როგორც პასუხი რუსეთის ჩაგვრაზე. რუსეთის გამოწვევაზე პასუხი მყისიერი იყო. პროტესტი გამოიხატა 1802, 1804, 1812-1813 წლების სახალხო აჯანყებებში. მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ამ აჯანყებების მიზნები პოლიტიკური იყო. ამასთან ხალხი, როგორც დამოუკიდებელი აქტორი, გამოჩნდა ისტორიის არენაზე, თუმცა თავად აჯანყებულმა მოსახლეობამ ჯერ კიდევ არ იცოდა სუვერენული ხალხის იდეა და მისი დომინანტური როლი სოციალურ ცხოვრებაში. ეს აჯანყებები არ ყოფილა წარმატებული. მაგრამ ისინი საინტერესოა, როგორც მოვლენები, რომლებიც გვაუწყებს ქართული ნაციონალიზმის დაბადებას. ზემოაღნიშნული აჯანყებების წარუმატებლობამ ქართული კულტურული ელიტა მიახვედრა იმას, რომ სპონტანური აჯანყებები მიზანს ვერ მიაღწევს, საჭირო იყო ქართველ თავადაზნაურობაში გარკვეული წინასწარი სამუშა-ოების ჩატარება და განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზ-ღვრა. შესაბამისი მიზნის გამოხატულება გახლდათ 1832 წლის შეთქმულება. როგორც ზემოხსენებული სახალხო აჯანყებები, ეს შეთქმულებაც მარცხით დასრულდა. თუმცა 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობაც ქართული ნაციონალიზმის ისტორიისთვის დიდია. მისმა მარცხმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა, რომ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ბრძოლის დაწყებამდე, აუცილებელი იყო ეროვნულ დონეზე კულტურული თვით-გამორკვევა.

ილიამ ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია ქართული იდენტობის ძირითადი ეთნიკური მარკერთა რეინტერპრეტაციით დაიწყო. ესენი იყო: (1) ტერიტორია, რომელიც ილიამ მამულად (ანუ სამშობლოდ) მოიაზრა, (2) ენა, რომელიც, მისი თქმით, ეროვნული სულისკვეთების გამოხატულება იყო და (3) ქრისტიანული სარწმუნოება, რომლის მიმართ, მისი აზრით, ქართველების ერთგულება უპრეცედენტო გახლდათ.

ამ ტრიადის თითოეული ელემენტი იყო ქართული იდენტობის „სამშენებლო ბლოკი“ [13, 2009, 89].

ილიამ მოახდინა ქართველი გლეხობის იდეალიზება,[1] რადგან იგი (ისევე, როგორც ბევრი ნაციონალისტი ლიდერი მთელს მსოფლიოში) გლეხობას მიიჩნევდა ჭეშმარიტი სათნოებისა და ავთენტური თვითობის მქონე სოციალურ ფენად მშობლიურ მიწასთან.. გლეხების მტკიცე კავშირის გამო.

ილიასეულ „ღვთაებრივ საუნჯეთა“ ტრიადაში მეორე ადგილზე იყო ენა. „შვილების“ თაობამ „მამათა“ თაობასთან დაიწყო დებატები სწორედ ენის საკითხებზე. „შვილები“ ცდილობდნენ ლიტერატურული ენის ყოველდღიური კომუნიკაციის ქართულ-თან დაახლოებას. ზოგიერთი მკვლევარი ქართველ ნაციონალისტთა ორ თაობას შორის მიმდი-ნარე ამ დებატებს სეკულარიზაციის პროცესის კონტექსტში განიხილავს [2, 2010: 11]. ჩვენი აზრით, ეს პოლემიკა უკავშირდებოდა არა მხოლოდ სეკულარიზაციის პროცესს, არამედ ილიას მიზანს, ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროდ ხალხი წარმოეჩინა. ილია

[1] გლეხობის იდეალიზება ნაციონალისტური მსოფლხედვის საერთო ადგილია. იხ. (ჰობსბაუმი 2008, 103)

ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ენის ნორმების დამდგენი თავად ხალხია და არა გრამატიკოსთა თეორიები [18, 2013, 198–199].

ილიასეული „ტრიადის“ ფარგლებში რელიგიას ბოლო ადგილი უკავია; მიუხე-დავად ამისა, ილიას კარგად ესმოდა, ეს იყო ქართველობის ძალიან ძლიერი მარკერი. ილიამ ქართველები ქრისტესათვის მოწამე ერად წარმოადგინა თუმცა მისი დამოკიდებულება რელიგიისადმი ამბივალენტური იყო [13, 2009, 90]. ასეთი დამოკიდებულების მიზეზი გახლდათ ისტორიული ვითარება: ერთის მხრივ, მრავალი საუკუნის მანძილზე ქართული კულტურა და ქართველთა კოლექტიური მეხსიერება მართლმადიდებლური ქრისტია-ნობის ფარგლებში ვითარდებოდა, მეორე მხრივ, მართლმადიდებლობა ასევე იყო ქართ-ველთა მთავარი მჩაგვრელის ანუ რუსეთის იმპერიის რელიგია. ამრიგად, შემთხვევითი არ არის, რომ „ღვთაებრივ საუნჯეთა“ ზემოაღნიშნულ ტრიადაში რელიგია ბოლო ადგილს იკავებს.

ილიას მხრიდან რელიგიაზე, კერძოდ, ქრისტიანობაზე, განსაკუთრებული აქცენტის გაკეთების საწინააღნდეგო ფაქტორი იყო ისლამიზებული ქართველების არსებობაც. 1877 წელს ოსმალეთის იმპერიასთან ომის დროს რუსეთმა (ქართველების მხარდაჭერით) აჭარა დაიკავა. ამრიგად, აჭარის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის გზით შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველომ ის რეალურად დაიბრუნა. ახალმა პოლიტიკურმა გარემოებებმა ქართველ ინტელექტუალებს შესაბამისი პრაქტიკული ამოცანა დაუსახა: აჭარის ქართული მოსახლეობის კულტურული შერწყმა ქვეყნის სხვა პროვინციებში მცხოვრებ ქართველებთან. სწორედ ამიტომ, ილიამ შემოგვთავაზა ქართული იდენტობის მარკერების შეცვლილი კონცეფცია, რომელიც ეფუძნება საერთო ისტორიული გამოც-დილების მტკიცებას, როგორც ყველაზე გადამწყვეტ ფაქტორს ეროვნული ჩვენ–ჯგუფის

ფორმირებისთვის. ამის შესახებ ილია „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ერთ–ერთ სტატიაში წერდა [25, 1877].[1]

წინაპართაგან დანატოვარი „სამი ღვთაებრივ საუნჯე“ ქართული ეთნიკური იდენტობის ძირითად მარკერებს წარმოადგენდა. მათ საფუძველზე შექმნილი ქართული ერთობა სრულად ჩაკეტილ ჯგუფად არ მოიაზრებოდა, თუმც ის არც საკმარისად ინკლუ-ზიური იყო. ისტორიულ მეხსიერებისათვის, როგორც მარკერისათვის, გადამწყვეტი მნიშ-ვნელობის მინიჭებით, ილიამ ქართული იდენტობა უფრო გახსნილი გახადა და, შესაბამი-სად, ნაციონალიზმის სამოქალაქო მატრიცის მიხედვით ქართველი ერის კონცეპტუ-ალიზაციისათვის ნიადაგი მოამზადა [19, 2014, 202-13].

ამგვარად, ილიამ ხელახლა მოახდინა ქართული ეთნიკური იდენტობის მთავარი მარკერების კონცეპტუალიზება და გარდასახა ისინი ქართული ეროვნული იდენტობის მარკერებად.

ილიას მიერ შექმნილი თითქმის ყველა ტექსტი და მისი, როგორც ლიდერის, თითქმის ყველა ქმედება ურთიერთდაკავშირებულია და ემსახურება ნაციონალიზმის ფუნდამენტური იდეალების განხორციელებას. აღნიშნულის დამატებით მაგალითებად შეიძლება მივუთითოთ ილიას დაინტერესებაზე ბატონყმობის გაუქმებით და წოდებათა ჰარმონიული თანაცხოვრების უზრუნველყოფით. ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანის საკითხებით დაინტერესება განპირობებული იყო სურვილით მომხდარიყო

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხის შესახებ უფრო ვრცელი მსჯელობისათვის იხ. ჩხარტიშვილი, მანია 2011

ქართული ერთობის შიდა ჯგუფური ტიხრების წაშლა და განმტკიცებულიყო სოციალური ბმები. ამას საბოლოოდ ქართული ერთობის ერთგვაროვნება უნდა მოჰყოლოდა და, შესაბამისად, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის საფუძველი მომზადებულიყო. იმავე მიზანს ემსახურებოდა ილიას მიერ „სხვების“ კონცეპტუალიზებაც, მაგალითად, დასავლეთის. დასავლეთის მიმართ ილიას დამოკიდებულება იყო ამბივალენტური: ერთი მხრივ, ის მის აღფრთოვანებას იწვევდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ილია მიუთითებდა დასავლეთის ნაკლოვანებებზეც [23, 2021ბ). დასავლეთი ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესში მოდელის როლს ასრულებდა, მაგრამ მოდელის აღმატებულებას არ უნდა დაეთრგუნა ეროვნული თვითშეფასება. „დასავლეთის“ კონცეპტუალიზებას ილია ახდენდა სრულიად განსხვავებული თემებით, მაგალითად, თუნდაც, ერთი შეხედვით, ამ საკითხისაგან იმგვარად დაშორებული საკითხით, როგორიც არის ღვინის ქართულად დაყენების წესი. ღვინოზე დისკურსით ილია აჩვენებდა, რომ იმ ეტაპზე, მიუხედავად დასავლეთის აშკარა კულტურული უპირატესობისა, არის რაღაც მნიშვნელოვანი, რომლის კეთებაში ქართველებს ვერავინ შეედრება. ეს ქართველთა კულტურულ ავტონომიურობის და უნიკალურობის გამოკვეთის საშუალებაც იყო.

ნაციონალიზმის იდეოლოგიის თვითიგივურობის იდეალთან არის დაკავშირებული ილიას დიდი დაინტერესება ქართველობის ისტორიულ წარსულით.

ტრადიციულ ეთნიკურ მარკერთა ჩამონათვალს – სამშობლო მიწას, ენას, სარწმუნოებას - ილიამ დაამატა ისეთი მნიშვნელოვანი მარკერი, როგორიც არის კოლექტიური მეხსიერება. ის თვლიდა, რომ ერთად ცხოვრების ხსოვნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველაფერი სხვა, თუნდაც გვარ-ტომობა ანუ ეთნიკური წარმომავლობა.

ილიას მოღვაწეობის ანალიზი აჩვენებს, რომ მან შექმნა ძალიან დეტალური ქართული ეროვნული იდენტობრივ ნარატივი. ის, ცხადია, მარტო არ იყო და ამ უდიდეს კრეატიულ აქტში თითქმის მთელი ქართული კულტურული ელიტა იყო მისი თანამოღვაწე, მაგრამ ილია გახლდათ ამ საქმეში მესვეური. ქართული ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით ეროვნული იდენტობრივი ნარატივის შექმნაში მან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა. მანვე შეუწყო ხელი ამ ნარტაივის იდეებით ქართული ერთობის გამსჭვალვას. მის მიერ დაარსებულმა „ივერიამ“ საბოლოოდ შეკრა ქართული საზოგადოება ერთ მთლიანობად. [1]

ამ უპრეცედენტო დამსახურების გათვალისწინებით ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე არის ქართველი ერის მამა.

აზრი იმის შესახებ, რომ ქართველი ერის კონსოლიდება მოხდა XIX საუკუნეში და რომ გადამწყვეტი როლი ამაში ილიამ ითამაშა, არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე ქართული კულტურა ან ქართველად ყოფნის ცნობიერება არ არსებობდა. [2] თვითცნობიერება ანუ იდენტობა ისტორიული მოვლენაა და, როგორც ყველა ისტორიული მოვლენა, ის ცვალებადია. როგორც უკვე ითქვა, წინა მოდერნის ეპოქაში ქართული იდენტობა, დიახაც, არსებობდა, ძალიან დიდ განვითარებასაც მიაღწია საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანის“ ეპოქაში (როგორც აღინიშნა, ამ დროს პრე-მოდერნული ქართველი ერის შესახებ შეიძლება კიდეც საუბარი), მაგრამ ქართული იდენტობა იმგვარად ღრმა და მტკიცე არასდროს ყოფილა, როგორც XIX საუკუნეში. ამ სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობის

[1] დეტალურად იხ. ჩხარტიშვილი, მანია 2011

[2] ზოგჯერ ამ აზრს ვერ იგებს ზოგი მკვლევარი ან შეგნებულად გარკვეულ მოსაზრებათა გამო ამახინჯებს იხ. (ჩხარტიშვილი 2020: 187-208).

აღსაწერად, მიზანშეწონილია, რომ გამოვიყენოთ ტერმინი „ერი“, ხოლო წინარე ეპოქებში ქართული ერთობა აღვნიშნოთ სხვა ტერმინებით (ეთნიკური კატეგორია, ეთნიკური ქსელი, ეთნიე, ეთნოსი, ეთნიკური ერთობა) თუ გვსურს, რომ ადეკვატურად წარმოვადგინოთ ქართული იდენტობის განვითარების ისტორია და შევძლოთ ქართველი ერის ფორმირებაში ილიას ღვაწლის განსაზღვრა.

ლიტერატურა

1.ანდერსონი 1983: Anderson, Benedict. *Imagined Communities. Reflections on the Origin and Spread of Nationalism*, VERSO, London, New York, 1983.

2.ანდრონიკაშვილი, მაისურაძე 2010: Andronikashvili, Zaal, George Maisuradze. “Secularization and itsVicissitudes in Georgia”, *Identity Studies*, Tbilisi, Ilia State University, 2010, # 2, pp. 5-17.

3.ასუადი 2020: Assouad, Lydia. “Charismatic Leaders and Nation Building” , 2020, https://shs.hal.science/halshs-02873520v2

4.ბერგერი, კონრადი 2015: Berger, Stefan, and Conrad Christoph. *The Past as History. National identity and Historical Consciousness in Modern Europe*, Palgrave Macmillan, 2015, 9-10.

5.ბრუკსი 1918: Brooks, Van Wyck. “On Creating a Usable Past”, *The Dial*, 11 April 1918, pp. 337-41.

6.გრინფელდი 1993: Greenfeld, Liah, *Nationalism. Five Roads to Modernity*, Harvard University Press. Cambridge, Massachusetts, London England, 1993.

7.გუსევსკაია, პლოტნიკოვა 2020: Gusevskaya1 N., and E. Plotnikova, “Historical Memory and National Identity”. *Advances in Social Science, Education and Humanities Research*, *6th International Conference on Social Science and Higher Education* ,2020, vol. 505, pp. 1026- 31).

8.კაბუაკი 2016: Cabbuag, Samuel I. “Charisma and Charismatic Leaders: Weber and Beyond Philippine”, *Sociological Review*, 2016, vol. 64, pp.209-30.

9.კარლაილი 1906: Carlyle, Thomas. *On Heroes, Hero-Worship, and the Heroic in History*, (ed. with notes and introduction) Henry David Gray, Longman, Green and CO., New York, 1906.

10.კუჩკაროვი, მირზიატოვი 2022: Kuchkarov Vakros H. and Ilyos M. Mirziytov, „Historical Figures and Some Aspects of National Identity“, *International Islamic Academy of Uzbekistan*, *IIAU Conference* , 2022, vol. 3, pp. 114 -21.

11.მარქსი 1926: Marx, Karl. *The Eighteenth Brumaire of Louis Bonaparte*, (trans. Eden, Cedar Paul), Georg Allen and Unwin Ltd., London, 1926.

12.მუტონი 2019; Mouton, Nico. “A Literary Perspective on the Limits of Leadership: Tolstoy’s Critique of the Great Man Theory”, *Leadership, Saga Journals,* 2019, vol. 15(1), 81–102.

13.ნოდია 2009: Nodia, Ghia. “Components of Georgian National Idea: an Outline”, *Identity Studies*, Ilia State University, 2009, # 1, pp. 84-101.

14.სმითი 1996: Smith, Anthony, D. “The Origins of Nation”. *Becoming National. A Reader* (eds.) Geof Eley

and Ronald Gregor Suny, Oxford University Press, New York, Oxford, 1996, pp. 106–31.

15.სმითი 2004: „ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია“ (Smith, Anthony, D. *Nationalism. Theory, Ideology, History*, Polity Press, 2003). მთარგმნელი და წინასიტყვაობის ავტორი მ.ჩხარტიშვილი (თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

16.ჩხარტიშვილი 2011: ჩხარტიშვილი, მარიამ და ქეთევან მანია, *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო*, უნივერსალი, თბილისი, 2011.

17.ჩხარტიშვილი 2012: Chkhartishvili, Mariam. “The Shaping of Georgian National Identity: *Iveria* and its Readers”, *The Balkans and Caucasus: Parallel Processes on the Opposite Sides of the Black Sea*, (eds.) Ivan Biliarsky, Ovidiu Kristea, Anca Oroveanu, Cambridge Scholars Publishing, 2012, pp. 188-211.

18.ჩხარტიშვილი 2013: Chkhartishvili, Mariam. "Georgian Nationalism and the Idea of Georgian Nation, *Codrul Cosminului .Departamentul de Stiinte Umanesi Social-Politice*, 2013, vol.19, # 2, December pp.189-206. http://atlas.usv.ro/www/codru_net/page19_2e.html

19.ჩხარტიშვილი 2014: Chkhartishvili, Mariam. "Conceptualizing Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix", *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*, (eds.) Antonello Biagini and Giovanna Motta, Cambridge Scholars Publishing, 2014, vol. I, pp. 202-13.

20.ჩხარტიშვილი 2019: ჩხარტიშვილი, მარიამ. „ქართველი ერის ზვიად გამსახურდიასეული ნარატივი. რეპრეზენტაცია და კომენტარები", *ქართული წყაროთმცოდნეობა,* 2019, XXI, გვ.165-76).

21.ჩხარტიშვილი 2020: ჩხარტიშვილი, მარიამ. ქართული ეროვნული იდენტობის ეთნოსიმბოლისტური კვლევა *ქართული წყაროთმცოდნეობა,* 2020, XXII, გვ. 187-208.

22.ჩხარტიშვილი 2021ა: Chkhartishvili, Mariam. "Modern Nation with Deep Ethnic Roots: Georgian Identity over the *longue durée*", *ქართული წყაროთმცოდნეობა*, 2021, XXIII, გვ. 138-44.

23.ჩხარტიშვილი 2021ბ: . Chkhartishvili, Mariam. „Symbolic Geography of the Georgian Identity Narrative: Conceptualising Europe / the West", *Dipartimento Asia, Africa e Mediterraneo Università degli Studi di Napoli "L'Orientale". Heteroeuropeanisations: (In)capacity to Stay Marginal edited* by Yordan Lyutskanov, Benedikts Kalnačs and Gaga Shurgaia # Series Minor XCII, pp 367 -406.

24.ჩხარტიშვილი 2024: ჩხარტიშვილი, მარიამ. „ქართული იდენტობის გრძელი ისტორია მოკლედ" , *გული გონიერი*, 2024, გვ.32–59.

25.ჭავჭავაძე 1877: ჭავჭავაძე, ილია. „ოსმალოს საქართველო", *ივერია*, 1877,#9, გვ.1–3).

26. ჰობსბაუმი 2008: Hobsbaum, Eric. *Nations and Nationalism since 1780. Programme, Myth, Reality.* Cambridge University Press (reprint), 2008.

Mariam Chkhartishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
mariam.chkhartishvili@tsu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.72

Forging of Georgian Identity in the Nineteenth Century: Contribution of Ilia

Abstract

Georgians have many very outstanding writers and public figures, but all point to the exceptional merit of Ilia Chavchavadze to the Georgian nation. The question arises: did Ilia do something superior to others? Why is he the only one called the "Father of the Georgian nation"?

The answer to this question requires an explanation of the concept of a *nation* and the essence of the nation-building process. During the Soviet period, Georgian historians based their representation of the nation-building process exclusively on the Stalinist definition. This definition is essentialist: it excludes the role of the subjectivist factor in the formation of the national we-group; the importance of the activity of the we-group members in the formation of the nation is not implied. In Western scientific discourse, the essentialist approach to groups has been largely rejected and it is believed that the subjectivist factor is of great importance in the process of nation-building, in particular, the involvement of the cultural elite in this process is considered crucial: the cultural elite of the we-group creates the ideology/identity narrative of nationalism necessary for national consolidation and, through the media of the modern era, ensures the circulation of this narrative in the we-group standing on the path of national consolidation.

The national idea leads to the mobilization of a group and, therefore, the formation of a nation. Nationalism is an ideology of solidarity, it is a phenomenon of modern times, despite the fact that ideologies of solidarity (in the form of ideologies of ethnic choseness or missionism) existed in the pre-modern era, their social impulse was weaker than the ideology of nationalism due to the social heterogeneity of pre-modern ethnic units. When discussing the characteristics of the ideology of nationalism // national identity narrative as a discourse, it is worth noting a fact that was found out by the prominent researcher of the nation phenomenon, A.D. Smith. He showed that, despite variations in different environments, the ideology of nationalism has stable and unchanging universal characteristics.Therefore, nation-building everywhere proceeds according to approximately the same scenario, and the actions of the leaders of the national movement are determined by these universal canons. The structure of identity narratives is also uniform: in all cases, this is a discourse on topics of existential importance for the nation. These topics can be grouped around three main questions: "Who are we?", "Who were we?", "What is our destiny?" All three questions are closely related to the fundamental ideals of nationalism.

All the texts created by Ilia and all his actions as a leader are interconnected and serve to implement the fundamental ideals of nationalism. For example, Ilia's interest in the issues of abolishing serfdom and ensuring harmonious coexistence of ranks, and bringing women into the public arena was conditioned by the desire to erase the internal group divisions of the Georgian we-group and strengthen social bonds. This should ultimately lead to the homogenization of Georgian unity and, accordingly, the formation of a national identity. The same purpose was served by Ilia's conceptualization of "others," for example, the West. Ilia's attitude towards the West was ambivalent: on the one hand, it aroused his admiration, but on the other hand, Ilia also pointed out the shortcomings of the West. The West played the role of a model in the process of national consolidation of Georgians, but the superiority of the model should not be suppressed by national self-esteem. Ilia conceptualized the "West" with completely different themes, for example, even with such a seemingly distant issue as the rules for setting wine in Georgian.

With the discourse on wine, Ilia was showing that at that stage, despite the obvious cultural superiority of the West, there was something important that no one could compare to the Georgians in doing. It was also a way to highlight the cultural autonomy and uniqueness of the Georgians. Ilia's great interest in the historical past of Georgians is connected with the ideal of self-reliance of the ideology of nationalism.. He believed that the memory of living together was more important than anything else, even clan or ethnic origin. An analysis of Ilia's work shows that he created a very detailed Georgian national identity narrative. He was certainly not alone, and the entire Georgian cultural elite was involved in this great creative act, but Ilia was the mastermind in this matter. Taking into account the entire Georgian historical experience, he made the greatest contribution to the formation of the idea of the Georgian nation and helped to imbue Georgian unity with this idea.

The intensive circulation of the national idea within the Georgian we- group was served for three decades by the main Georgian print media of the nineteenth century, "Iveria," which was published through Ilia's efforts and ultimately united Georgian society into a single entity. Considering this unprecedented merit, it can truly be said that Ilia Chavchavadze is the Father of the Georgian nation.

Key words: Ilia Chavchavadze, Identity